ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში საანგარიშო პერიოდი

(2025 წლის 30 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე)

გიორგი კურტანიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი პროპორციული სიით 30.10.2025 წლიდან. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს თავმჯდომარის მოადგილე, ასევე გახლავართ:

1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - კომისიიდან გავედი 13.05.2026 წ.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვესწრებოდი, როგორ საკრებულოს სხდომებს ასევე საკრებულოს კომისიის სხდომებსაც და აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვა - გაანალიზებაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს 17 სხდომიდან დავესწარი 15 - ს (2 საპატიო)

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 სხდომიდან დავესწარი 3 - ს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2 სხდომიდან - 1 - ს

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისის 3 სხდომიდან - 2- ს.

საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი პროექტები:

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 20262029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, საკრებულოს დადგენილება
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, საკრებულოს დადგენილება.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს დადგენილება

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს დადგენილება
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ, საკრებულოს განკარგულება
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობის, კომისიებში ფრაქციათა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის და დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/10/2025 წლის #გ-13. 13253034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საანგარიშო პერიოდში, მოსახლეობასთან მქონდა მჭიდრო კომუნიკაცია, ყოველდღიურად ვეცნობოდი მათ საჭიროებებსა და პრობლემებს, რომელთა მოგვარებასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთათ ვახორციელებდი. ასევე, საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებულ და დაგეგმილ ღონიძიებებს, როგორიცაა:

- სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა.
- 9 აპრილის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.
- 17 მაისი, ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებული მაშტაბური მსვლელობა.
- 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

- მაშტაბური ღონისძიება „გემოფესტი 2026“, რომელსაც ქალაქ ახალციხემ უმასპინძლა.
- ახალციხის ციხეზე გამართული ქალაქის მთავარი დღესასწაული „ახალციხელობა“

შევსების თარიღი: 17.10.2026

წარდგენის თარიღი: 30.10.2026

ხელმოწერა: